ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724148001
თარიღი:27/05/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N-09

დ.ლენტეხი 16 მაისი 2024წ.

მიმდინარე წლის 16 მაისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 16 (თექვსმეტი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი. საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომას ესწრებოდა ლენტეხის რაიონის სოფ. ლესემაში მცხოვრები - მოქალაქე ქეთევან აფაქიძე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხები გავლილია საკრებულოს შესაბამის კომისიების სხდომებზე და კომისიების დასკვნების მიხედვით საკითხები მზად არის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად. სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების სამი თვის ანგარიშის მოსმენა.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი /

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 3 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

   /მომხს: მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევანი ლიპარტელიანი/

3. **თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - მარტოხელა დედის ლია გაზდელიანის დასახმარებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000(ერთი ათასი) ლარის გამოყოფის თაობაზე.**

   /მომხს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

4. **სხვადასხვა**.

   შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

   სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრით: მომხრე -16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩახქსელიანმა წარმოადგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების სამი თვის ანგარიში.

   აზრი გამოთქვა: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისთავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ. აღნიშნა, რომ ანგარიში გავლილია კომისიის სხდომაზე და არის დამაკმაყოფილებელი.

საკრებულოს წევრების მხრიდან კითხვა ანგარიშთან დაკავშირებით არ დასმულა. საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების სამი თვის ანგარიში.

2. მოისმინეს: მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ლიპარტელიანმა წარმოადგინა სამსახურის ანგარიში სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ:

   ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახური შედგება სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, ორი განყოფილება, ორი მთ.სპეციალისტი და ორი შტატგარეშე სპეციალისტისაგან.

   საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N-2402 განკარგულებაში 2024წ. 29 მარტის N-447 შესული ცვლილების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოიყო 4224873 (ოთხი მილიონ ორას ოცდაოთხი ათას რვაას სამოცდაცამეტი) ლარი. დაფინანსებულია 37 პროექტი, წარმოგიდგენთ დაფინანსებულ პროექტების ჩამონათვალს დანართის სახით.

   საქართველოს მთავრობის 2023 წ 28 დეკემბრის N-2400 განკარგულებაში 2024წ. 2 მაისის N-648 შესული ცვლილების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოეყოს 2160000(ორი მილიონ ას სამოციათასი) ლარი. წარმოგიდგენთ დაფინანსებულ ობიექტებს დანართის სახით.

   საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს N-1456 განკარგულებით 2020-2022წწ. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 750000 ლარი, დაბა ლენტეხში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისთვის. სამუშაოებს ასრულებს შ.პ.ს „აბსოლუტპლუსი“ სამუშაოები მიმდინარეობს ინტენსიურ რეჟიმში.

   ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21/12/2023 წ. განკარგულება N-გ-97.97233551 შესაბამისად სადაც მოწონებულ იქნა 2024წ. ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა, ვანხორციელებთ ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვას შესრულებულია მთლიანი პროექტების 90% მეტი.

   ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებული ნუსხის შესაბამისად სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ სამუშაოებზე სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას ასრულებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.შედგენილია მუნიციპალიტეტის 45 სოფლის ხარჯთააღრიცხვა და მიმდინარე თვის ბოლომდე დასრულებული იქნება მთლიანი მუნიციპალიტეტის მაშტაბით.

   მიმდინარე წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში შესასწავლად და სხვადასხვა უწყებებში შუამდგომლობისათვის შემოვიდა როგორც მოსახლეობიდან ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან 365 წერილი და განცხადება, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ყველა შემოსულ კორესპოტენციაზე გავეცით პასუხი. 2024 წ. არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ გაიცა თანხმობა სოფ.ცანაში 0,5მგ ძინი ჰესის მშენებლობაზე თანხმობა.

   შეკითხვა დასვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - რა დონეზეა ალპინისტური ბაზის მშენებლობა სოფ. ყორულდაშში.

   მომხსენებელმა პასუხად განმარტა, რომ ჩამოსული მეწყერების გამო დროებით შეჩერებულია ეს პროცესი.

   ლამზირა გუგავა - რა ხდება დაბის ბაგა-ბაღის შენობასთან დაკავშირებით.

   პასუხი გასცა მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ - უახლოეს დღეებში უნდა გამოცხადდეს ტენდერი. იმედი გვაქვს, რომ ეს ტენდერი შედგება და საკითხიც წინ წაიწევა.

ზურაბ ონიანი- რა ხდება ნაკიშერის უბანში ხიდთან დაკავშირებით და გვაინტერესებს სასმელი წყლის საკითხიც.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაფინანსება მოსულია, მაგრამ წყლის ტენდერი ჩავარდა. რაც შეეხება ხიდს, ტენდერზე დევს. უახლოეს პერიოდში გაკეთდება დროებით გადასასვლელი.

კითხვების ამოწურვის შემდეგ შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ანგარიშის შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია ა კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში შეფასდეს დადებითად.

3. მოისმინეს: საკრებულოს სოც საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - მარტოხელა დედის ლია გაზდელიანის დასახმარებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000(ერთი ათასი) ლარის გამოყოფის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ გია ონიანის წერილი, რომელშიც აღნიშნულია ,რომ ქალბატონი ლია გაზდელიანი ცხოვრობს ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში, არის ეკონომიგრანტი, მარტოხელა დედა, ავტოკატასტროფაში დაეღუპა ერთადერთი შვილი, რომლის საფლავის ქვა მეგობრებმა წლების წინ მოუტანეს , მაგრამ უსახსრობის გამო მის დადგმას საფლავზე ვერ ახერხებს. ქვის ხარისხიდან გამომდინარე დადგმის ხარჯი 1000 (ერთი ათას) ლარს შეადგენს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი საკრებულოსგან ითხოვს ნებართვას, რომ ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მოქალაქე ლია გაზდელიანის დასახმარებლად გამოიყოს 1000 (ერთი ათასი) ლარი.

კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა გაეწიოს დახმარება მარტოხელა დედას ლია გაზდელიანს, თანხმობა მიეცეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს წინადადებაზე - მარტოხელა დედის ლია გაზდელიანის დასახმარებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000 (ერთი ათასი) ლარის გამოყოფაზე. კომისიამ გააკეთა მომართვა ბატონ გიორგი გაზდელიანის სახელზე, რომ საკითხი ჩაესვა სხდომის დღის წესრიგში.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - მარტოხელა დედის ლია გაზდელიანის დასახმარებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000(ერთი ათასი) ლარის გამოყოფის თაობაზე დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - მარტოხელა დედის ლია გაზდელიანის დასახმარებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000(ერთი ათასი) ლარის გამოყოფის თაობაზე.

4. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოსულია სოფ. ლესემაში მცხოვრები მოქალაქე ქეთევან აფაქიძის (პ.ნ. 27001006323) განცხადება. განცხადების თანახმად ქეთევან აფაქიძემ მომართა საკრებულოს თავმჯდომარეს, მიეცა შესაძლებლობა, რომ საკრებულოს სხდომაზე გაეკეთებინა განცხადება. დაინტერესებული პირის მიერ განცხადების გაკეთება გათვალისწინებული იქნა სხვადასხვაში.

ქეთევან აფაქიძემ აღნიშნა, რომ ბათილად იქნეს ცნობილი სოფ. ხელედის ადმინისტრაციულ ერთეულში 23/09/2018 წელს თვითნებურად დაკავებული აწ. გარდაცვლილი ერმილე ჩანქსელიანის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება საკადასტრო კოდით N87.03.26.286 დაზუსტებული ფართობი 380,00 კვ.მ. შენობა N-01. რომლის ზედდება ფიქსირდება სახელმწიფო საკუთრებაში. აღნიშნული ქონება საკადასტრო კოდით N87.03.26.286 დაზუსტებული ფართობი 380,00 კვ.მ. შენობა N-01 22/02/2019 წელს დაურეგისტრირდა ერმილე ჩანქსელიანის შვილს გოჩიკო ჩანქსელიანს. განცხადების ბოლოს ქეთევან აფაქიძემ მოითხოვა აღნიშნული დოკუმენტის ბათილად ცნობა და აღნიშნული ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნება. შესაბამისად მიწის უძრავი

ქონება საკადასტრო კოდით N87.03.26.509 დაზუსტებული ფართობი 404 კვ.მ შენობის გარეშე (მომზადების თარიღი 21/02/20232წ) დაუბრუნდება მას - ქეთევან აფაქიძეს.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ საკრებულო მზად არის საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება მოქალაქე ქეთევან აფაქიძის დასახმარებლად, მაგრამ განცხადებაში აღნიშნული კატეგორიული მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ შედის საკრებულოს უფლებამოსილებაში. აღნიშნული განცხადება დაეწერა საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიას, რომელიც მერიის იურიდიულ სამსახურთან ერთად შეისწავლის საკითხს და შესაბამისი დასკვნა აღნიშნულ საკითხზე წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის აღნიშნული ფორმით დაყენებას და შესწავლას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითების ამოწურვის შემდეგ დღის 14 საათზე ლენტეხის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

გიორგი გაზდელიანი	გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე	